პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 94 (3578)

1968 წ. 15 მაისი. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

ამ, ასეთი შეტევებით იყო აღსავსე განვლილი მეოთხედფინალური მატჩი ევროპის პირველობაზე სსრ კავშირისა და უნგრეთის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. საბჭოთა ფეხბურთელები მეტად შტურმზე არიან (ნატვრაი № 6 — კაპლიჩნი), უნგრელები გაძლიერებული ძალებით იცავენ თავს, ხოლო მათი მეკარე ტამაში გაჭირვებით იგერიებს მაღალ ბურთს.

ფოტო მ. ზარგარიანისა. (ჩვენი სპეც. კორ.).

# „კოლმეურნე" — გამარჯვებულთა შორის

ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში მოპოვებული მნიშვნელოვანი წარმატებებისთვის, რაც გამოიხატა შარშანდელი გეგმა-ვალდებულების გადაჭარბებით შესრულებაში, სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურმა საბჭომ „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭო ერთ-ერთ გამარჯვებულად აღიარა.

„კოლმეურნე" ერთ-ერთი ძლიერი სპორტული საზოგადოებაა, რომლის წარმომადგენლები წარმატებით იცავენ საბჭოთა ქვეყნის ღირსებას დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში. თავის რიგებში „კოლმეურნე" აერთიანებს 263.418 კაცს!

საზოგადოებამ საანგარიშო პერიოდში გადაჭარბებით შეასრულა სოციალისტური შეჯიბრების პუნქტები. მომზადებულია 38.338 ნიშნოსანი (გეგმა შესრულებულია 136,8 პროცენტით), 28.827 II, III და ჭაბუკთა თანრიგოსანი (180,1 პროცენტი), 600 პირველთანრიგოსანი (285,7 პროცენტი), 22 სპორტის ოსტატობის კანდიდატი (გეგმით არ იყო გათვალისწინებული), 29 სპორტის ოსტატი (138 პროცენტი), 1 საერთაშორისო კლასის ოსტატი (100 პროცენტი), 7063 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი (147,1 პროცენტი), 4858 მსაჯი (161,9 პროცენტი).

„კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის საოლქო, ზუგდიდის, მახარაძის, ზესტაფონის, სამტრედიის, თელავის, მესტიის, ბორჯომის, გურჯაანის, ორჯონიკიძისა და სხვა რაისაბჭოებმა.

„კოლმეურნის" ცენტრალურმა საბჭომ საკავშირო სპორტკავშირის გარდამავალი დროშა და სიგელი დაიმსახურა. ეს მისი მერვე გამარჯვება საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.



## ტრადიციად ვაქციოთ

საქართველოს მოსწავლე მოჭადრაკეთა ნაკრები, რომელიც ძირითადად თბილისის საჭადრაკო სკოლის აღზრდილებითაა დაკომპლექტებული, კარგა ხანია შეუდგა მზადებას მოსწავლეთა 1969 წლის საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ამას წინათ თბილისს მოსკოვის მოსწავლეთა გუნდი ეწვია. სტუმრებმა ჩამოიყვანეს თავიანთი უძლიერესი მოთამაშეები, მათ შორის, ოსტატობის კანდიდატები ს. მაკარიჩევი, ს. ვესელოვსკი, გ. ბერკოვიჩი...

ორწრიანი ამხანაგური მატჩი 10 დაფაზე გაიმართა. ჩვენს გუნდში იყვნენ: ჭაბუკები — ს. ჩეჩელიანი, ა. აივაზაშვილი, ვ. მეჩიტოვი, მ. ფრიდინსკი, მ. ძნელაძე, ა. ტორჩიანი, გ. სიხარულიძე, ა. ხარიტონაშვილი, ა. კაჭარავა, გოგონები — ნ. ხუბულური, მ. დათაშვილი და ნ. ბალაშვილი (ზოგიერთმა მხოლოდ ერთი პარტია ითამაშა).

მართალია, მოსკოველებმა ორივე შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით (5,5:4,5) მოიგეს, მაგრამ ჩვენმა ახალბედა მოჭადრაკეებმა ძვირფასი გამოცდილება შეიძინეს.

— კარგი იქნება, თუ ამ შეხვედრას ტრადიციად ვაქცევთ, — განაცხადეს მოსკოველთა მწვრთნელებმა, ოსტატებმა ა. როშალმა და მ. იუდოვიჩმა. — ბავშვებმა ივარჯიშეს და დამეგობრდნენ კიდეც. ახლა ჩვენს მასპინძლებს მოსკოვში ველით.

ო. ალხანიშვილი.

## ლარსენი უპირატესობას ინარჩუნებს

პორეჩი, 14 მაისი. მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩის V პარტია ბ. ლარსენსა (დანია) და ლ. პორტიშს (უნგრეთი) შორის 34-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

ლარსენმა უპირატესობა შეინარჩუნა: ანგარიშია 3:2. VI პარტია შედგება 15 მაისს.

## იმედების გაწბილება

ამსტერდამი, 14 მაისი. ს. რეშევსკის გულშემატკივართა იმედები არ მართლდება: ხანდაზმულ ამერიკელ დიდოსტატს უჭირს ვ. კორჩნოისთან ბრძოლა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა აქ მიმდინარე მეოთხედფინალურ მატჩში. IV პარტიაში რეშევსკი კვლავ დამარცხდა.

ანგარიში გახდა 3:1 საბჭოთა მოჭადრაკის სასარგებლოდ.

## თბილისის „ბურევესტნიკი" ითამაშებს „ა" კლასში

კიროვის სახელობის პარკის ხელბურთის სტადიონზე გაიმართა ქალთა საკავშირო პირველობის ორი შერჩევითი მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის გუნდები — „ა" კლასის II ჯგუფის მონაწილე „განთიადი" და „ბურევესტნიკი". ამ თამაშების შედეგებს უნდა გამოერკვია, ვინ იასპარეზებდა წლეულს „ა" კლასის II ჯგუფის ხელბურთელთა გუნდების ტურნირში.

„ბურევესტნიკის" ხელბურთელებმა (მწვრთნელები ჯ. ბაგრატიონი და ა. ბათმანოვი) პირველი მატჩი მძიმე ბრძოლაში მოიგეს — 17:15 (9:8), მეორეში კი შედარებით იოლად გაიმარჯვეს — 13:9 (7:3).

საკავშირო შეჯიბრების I ტურის მატჩებს თბილისელები მაისის ბოლოს გამართავენ ქ. ტოლიატში.

## ნაკრებშია ხუთი ქართველი ფალავანი

ვატამი მკვრივი, უხეში ლეიბია, რომელზეც ძიუდოისტები ასპარეზობენ. სულ მალე ტატამი ლოზანის ერთ-ერთ სპორტულ დარბაზში გაიშლება. შვეიცარიის ეს ულამაზესი საკურორტო ქალაქი ცნობილია როგორც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ადგილსამყოფელი. ამჯერად კი იგი ევროპის უძლიერეს ფალავანთა სარბიელად იქცევა.

ჩემპიონატის პროგრამა წლეულს პირველად მოიცავს სამ დღეს. 17 მაისს გაიმართება გუნდური შეჯიბრებები, 18 მაისს — საშუალო, ქვემძიმე და მძიმე წონების ათლეტთა ასპარეზობა, 19 მაისს კი ერთმანეთს შეერკინებიან მსუბუქი და ქვესაშუალო წონების ძიუდოისტები, აგრეთვე, აბსოლუტური პირველობისთვის მებრძოლნი.

საბჭოთა ძიუდოისტები ევროპის ჩემპიონატში მეშვიდედ გამოდიან. წინა წლებთან შედარებით ჩვენი გუნდის შემადგენლობა თითქმის მთლიანად განახლდა, მაგრამ გუნდში არიან ვეტერანებიც. ერთ-ერთი მათგანია 33 წლის თბილისელი ა. კიკნაძე, რომელიც ევროპის ყველა ჩემპიონატში გამოვიდა და ოთხჯერ მოიპოვა ოქროს მედალი პირად შეჯიბრებებში.

ლოზანაში იასპარეზებენ: მსუბუქ წონაში — ევროპის ჩემპიონი, ლენინგრადელი ს. სუსლინი და თბილისელი ფ. მარტყოფლიშვილი, ქვესაშუალოში — ქართველი ათლეტები რ. მაღალთაძე და ო. ნათელაშვილი, საშუალოში — ევროპის ჩემპიონი იუნიორთა შორის, კიეველი ა. შუკლინი და კიშინიოველი დ. კოტიკი. ქვემძიმე წონაში საბჭოთა ნაკრების ღირსებას დაიცავენ ევროპის ჩემპიონი, სარატოველი ვ. პოკატაევი და მოსკოველი ა. იუდინი, ხოლო მძიმეში — კიეველი ვ. საუნინი, კიშინიოველი ვ. გუცუ და ორი ანზორი — კიკნაძე და ქიბროწაშვილი.

ბ. ხაჩკოვანიანი, სსრ კავშირის ძიუდოობის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი. მოსკოვი.

## სპორტული საათი...

◆ ჰააგა, 14 მაისი. ოქროს 3 და ვერცხლის ამდენივე მედალი — ასეთია სსრ კავშირის მოკრივეთა ნადავლი, რომელიც მათ 11 მოწინავე ევროპული სახელმწიფოს სპორტსმენთა მონაწილეობით ჰოლანდიაში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში მოიპოვეს. 7 საბჭოთა ოსტატიდან 6 ფინალში გავიდა და გადამწყვეტ ბრძოლებში იასპარეზა. საბჭოთა მოკრივეების ჯერ კიდევ პირველი გამოსვლების შემდეგ ჰოლანდიის პრესამ მათი პირველხარისხოვანი ტექნიკა და მაღალი საბრძოლო სულისკვეთება აღნიშნა. გუშინ მათ ისევ გამოავლინეს ეს თვისებები. საპატიო „ოქროს სარტყელისთვის" გამართულ ბრძოლებში ს. სტრუმსკისმა დამაჯერებლად დაამარცხა ჰებელა (პოლონეთი), ვ. ზაპოროჟეცმა — ჩუკი (რუმინეთი), ხოლო ვ. სოკოლოვმა — გიჟუ (რუმინეთი). ვერცხლის მედლები დაიმსახურეს ბ. კუზნეცოვმა, ნ. ხრომოვმა და ვ. ემელიანოვმა. „ახლახან მოსკოვს გახლდით, სადაც საბჭოთა მოკრივეების ოსტატობით პირდაპირ აღტაცებაში მოვედი, — განაცხადა შეჯიბრების შემდეგ ჰოლანდიის კრივის ფედერაციის პრეზიდენტმა ჰ. ჰოფმანმა. — ახლა, როცა ნიდერლანდის რინგებზე გამართულ ბრძოლებს ვაჯამებთ, არ შემიძლია არ გავიმეორო ის, რასაც საბჭოთა სპორტსმენებზე ვამბობდი: ამ ბიჭებს საუცხოო ტექნიკა, გამბედაობა, თავდაჭერილობა და სიმშვიდე ახასიათებთ, ე. ი. ყველა ის თვისება, რაც მხოლოდ პირველხარისხოვან მებრძოლებს აქვთ. რუსებმა ჰოლანდიაში ნამდვილი კრივის დემონსტრაცია მოახდინეს".

# სიტყვა თქვენზეა, ახალგაზრდებო!

...გვიხმო...

რედაქციაში წერილი მოვიდა. ფეხბურთის მინდორი არ გვაქვსო, გვწერდნენ წყალტუბოს რაიონის სოფელ მუხიანის ახალგაზრდები და დახმარებას გვთხოვდნენ.

წყალტუბოში ჩასული, პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, რაიონის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარეს შოთა კინწურაშვილს ვეწვიეთ.

მასთან დაგვხვდნენ რაიონის ახალგაზრდული სპორტსკოლის დირექტორი ს. ნიქაბაძე, „სპარტაკის“ თავმჯდომარე ო. არჯევანიძე და „განთიადის“ თავმჯდომარე გ. ზვიადაძე. ისინი მოსწავლეთა სპარტაკიადის შედეგებს აჯამებდნენ.

სპარტაკიადა ცუდი შედეგებით როდი დამთავრებულა. განსაკუთრებით ფრენბურთელ გოგონებს უსახელებიათ თავი.

...წყალტუბოს რაიონში დიდი ყურადღება ექცევა ფიზკულტურასა და სპორტს. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ პარტიის რაიკომის ბიუროსა და რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს მრავალჯერ უმსჯელიათ ამ საკითხზე, დაუსახავთ ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესების გზები.

მოვუსმინოთ შოთა კინწურაშვილს:

— მთავარ ყურადღებას სპორტბაზების კეთილმოწყობას, სპორტულ სექციებში სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობის ხარისხის ამაღლებას და სპორტული ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩატარებას ვაქცევთ. ჩვენი უპირველესი მიზანი ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი ზრდაა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ახლა რაიონის 37 ფიზკულტურის კოლექტივში 14 ათასზე მეტი მშრომელი და მოსწავლე ახალგაზრდაა, ესე იგი მთელი მოსახლეობის 25 პროცენტია გაერთიანებული.

ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მთავარი ღერძი მაინც სპორტული ბაზებია. ჩვენ ამ მხრივ ცუდად არა გვაქვს საქმე. დღეისთვის სპორტსმენთა განკარგულებაშია ფეხბურთის 5, კალათბურთის 49, ფრენბურთის 94 მარტივი ტიპის მოედანი, 13 სასკოლო დარბაზი, ჭიდაობისა და ძალოსნობის დარბაზები და სხვ. წლეულს მწყობრში ჩადგება საწყლოსნო სადგური, რომლის ტერიტორია 6 ჰექტარზე იქნება გადაშლილი. მიმდინარეობს ახალი სტადიონის მშენებლობა, რომელიც 1969 წლისთვის უნდა დამთავრდეს.

კინწურაშვილს მუხიანელი ახალგაზრდების წერილი წავუკითხე.

— საქმე ის გახლავთ, — თქვა სპორტკავშირის თავმჯდომარემ, — რომ ჯერჯერობით არ მოხერხდა რაიონის ყველა სოფლის სპორტული ბაზებით უზრუნველყოფა. ეს დიდი, მნიშვნელოვანი საქმეა და იგი შეიძლება ერთბაშად ვერ გაკეთდეს. მაგალითად, ფარცხანაყანევის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში, გეგუთის საბჭოთა მეურნეობაში, გვიშტიბის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში საკმაოდ კეთილმოწყობილი ბაზები გვაქვს. მაღლაკის ლენინისა და რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობებმა ბავშვთა სპორტული სკოლაც კი ააგეს. აქვეა შესანიშნავად მოწყობილი ფრენბურთის მოედანი. რაიონის ფრენბურთელთა ნაკრები გუნდი ძირითადად ამ სოფლის სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული. მაგრამ საქმე ასე არ არის მესხეთის ენგელსის სახელობის, გუმბრინის ლენინის სახელობის, ცხუნკურისა და ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობაში. მუხიანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ფეხბურთის სტადიონის მოწყობა უკვე დგას დღის წესრიგში.

მუხიანს კინწურაშვილთან ერთად ვეწვიეთ.

სოფლის თავკაცებთან ერთად დავათვალიერეთ სტადიონისთვის განკუთვნილი ადგილი, რომელსაც სულ მალე მოედნისათვის გადახნავენ, მოასწორებენ და შემოღობავენ.

კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა ჯ. ბაბუნაშვილმა გვითხრა და ჩვენ გვსურს რედაქციაში შემოსული ზემოხსენებული წერილის ავტორებამდე მივიტანოთ მისი ნათქვამი:

—აი, დავიწყებთ მოედნის მშენებლობას და ვნახოთ, რა ენთუზიაზმს გამოიჩენენ ახალგაზრდები.

სიტყვა თქვენზეა, მუხიანელო ახალგაზრდებო! სოფლის თავკაცებმა კარგი პირობა მოგვცეს. თქვენც ხელი გამოიღეთ და სულ მალე კარგი სპორტული ბაზა გექნებათ.

თ. ლეკვეიშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოფ. მუხიანი,
წყალტუბოს რაიონი.

## ბათუმი

გაიმართა ველოსიპედისტთა შეჯიბრება კომკავშირის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პრიზზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „განთიადის“, „დინამოსა“ და ბავშვთა სპორტსკოლის გუნდები. ვაჟთა შორის გაიმარჯვა სპორტსკოლის წარმომადგენელმა ბ. კიკვიძემ, ქალებში — დინამოელმა ბ. ციმბალიუკმა. გუნდურ ჩათვლაში უძლიერესნი იყვნენ „განთიადის“ ველოსიპედისტები.

მ. კირაკოსიანი.

## გეგეჭკორი

დამთავრდა რაიონის საშუალო სკოლების კალათბურთელთა და ფრენბურთელთა პირველობა. კალათბურთში I ადგილი დაიკავეს სოფელ გაჭედილის საშუალო სკოლის გოგონებმა და ჭაბუკებმა, ფრენბურთში კი მე-2 საშუალო სკოლის გუნდებმა.

გ. ლაფანაშვილი.

## თელავი

ფშაველის კომკავშირელმა ახალგაზრდებმა გაამწვანეს სოფლის სტადიონი, — მინდვრის ირგვლივ კიპარისები დარგეს, რამაც შნო და ლაზათი შემატა სარბიელს.

შ. ჯაჭვაძე.

## გურჯაანი

დამთავრდა „კოლმეურნის“ რაიონული პირველობა ფრენბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 10 გუნდი. ყველა შეხვედრა მოიგეს და I ადგილი დაიკავეს სოფელ შრომის საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენლებმა. II ადგილი წილად ხვდა გურჯაანის საბჭოთა მეურნეობის გუნდს, III — ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ფრენბურთელებს.

ი. ოდიშელიძე.

## ახმეტა

ზემო ალვანის საშუალო სკოლის სპორტულ დარბაზში ჩატარდა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ხელბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ გოგონათა გუნდები. დაძაბულ ბრძოლაში I ადგილი მოიპოვეს მატნის საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა. II ადგილი წილად ხვდათ ახმეტის მე-2 საშუალო სკოლის გოგონებს. მაყურებელთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა გამარჯვებულთა მეკარის ასმათ ბაბაკიშვილის თამაშმა, რომელმაც ექვსი პენალტი მოიგერია და სამი ბურთი კი პირდაპირ კარიდან კარში გაიტანა.

გ. ტერტერაშვილი.

## წითელწყარო

აქ გაიმართა „კოლმეურნის“ რაისაბჭოს ფრენბურთელთა პირველობა. ვაჟებში I ადგილი დაიკავა ზემო მაჩხაანის გუნდმა, ქალებში კი უძლიერესის სახელი მოიხვეჭეს ზემო-ქედელებმა.

პ. პატატიშვილი,
„კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარე.

# რაიკომის ბიურომ იმსჯელა

შუახევის რაიონში ფიზკულტურული მუშაობა ბოლო წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა. ამჟამად აქ შექმნილია 88 ფიზკულტურული კოლექტივი, რომლებშიც 9874 კაცია ჩაბმული.

სპორტის მასობრიობას ხელს უწყობს მატერიალური ბაზის განმტკიცება. კოლმეურნეობებისა და სკოლების უმეტესობას აქვს კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის მოედნები. შარშან რაიონის ცენტრში გაიხსნა ახალი სპორტსკოლა, რომლის განკარგულებაშია კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი. დღითი დღე უმჯობესდება ფიზკულტურული კოლექტივებისა და სკოლების მომარაგება სპორტული ინვენტარით. მარტო მიმდინარე სასწავლო წელს რაიონის სკოლებისთვის 7.300 მანეთის სპორტინვენტარი შეიძინეს.

აქვე უნდა აღინიშნოს ნაკლიც. მაგალითად ხაბელაშვილების, ვანის, დღვანის, ნენიის, დაბაძველის, ბარათაულისა და ტაკიძეების კოლმეურნეობებში „კოლმეურნის“ ორგანიზაციები მხოლოდ ფორმალურად არსებობს. ამ ორგანიზაციებში წლების მანძილზე არ ჩაუტარებიათ რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება. რაიონის 39 საშუალო და რვაწლიან სკოლაში ფიზკულტურის მხოლოდ 3 სპეციალისტი და 13 უმაღლესდაუმთავრებელი პედაგოგი მუშაობს. არ ტარდება ღონისძიებანი ფიზაღზრდის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ამ საკითხებს ნაკლებ ყურადღებას აქცევს შუახევის რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებასთან შექმნილი ფიზკულტურის მასწავლებელთა სექცია.

შუახევის რაიონი მთაგორიანია. აქ შესანიშნავი პირობები არსებობს სათხილამურო სპორტის განვითარებისთვის, მაგრამ ცალკეულ ენთუზიასტთა თაოსნობამ ვერ ჰპოვა „კოლმეურნისა“ და რაიონის სპორტკავშირის ხელმძღვანელობის მხარდაჭერა — რაიონული შეჯიბრების მოწყობა არ მოხერხდა.

გოგაძეების, ტბეთისა და ჭალის ახალგაზრდობამ ამ სოფლებში ფეხბურთის მინდვრების მოწყობა განიზრახა, მაგრამ კოლმეურნეობათა გამგეობებმა მათ ხელი არ შეუწყვეს. მშენებლობა სამი წელია ჭიანურდება. იშვიათად ეწყობა შეჯიბრებები შაშში, ჭადრაკში, ტყვიის სროლაში...

დიდი ნაკლია ისიც, რომ რაიონის არც ერთ მაღაზიაში არ არის გახსნილი სპორტული სექცია, არ იყიდება სპორტული ინვენტარი. ყოველივე ამის შესახებ იმსჯელა საქართველოს კომპარტიის შუახევის რაიკომის ბიურომ, როცა განიხილა „რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი“.

ბიურომ პირველად პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, კოლმეურნეობათა გამგეობებს, სასოფლო საბჭოების აღმასკომებს დაავალა იზრუნონ მასობრივ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობაში მოსახლეობის ფართო ფენების ჩაბმისთვის, ააგონ მარტივი მოედნები და კეთილმოაწყონ ისინი, მხარი დაუჭირონ ახალგაზრდობის თაოსნობას. შუახევის სპორტკავშირსა და „კოლმეურნის“ რაიონულ საბჭოს დაევალათ მეტი ყურადღებით მოეკიდონ ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობას, მეთოდური და პრაქტიკული დახმარება გაუწიონ მათ.

ა. თავდგირიძე,
საქართველოს კპ შუახევის რაიკომის მდივნის თანაშემწე.



ამ მოჭადრაკეებს — სეფიეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს ნიკოლოზ დანელიას და მის ქალიშვილებს (მარცხნიდან) ლუბას, ვალენტინას, ეკატერინეს და მარგარიტას ყველა იცნობს აბაშის რაიონში. გოგონებმა IV ადგილი დაიკავეს რესპუბლიკის მოჭადრაკე ქალთა 8 მარტისადმი მიძღვნილ გუნდურ ტურნირში, რომელიც სოხუმში ჩატარდა. მეათეკლასელი ლუბა პირველთანრიგოსანია. გატაცებით ეუფლება ჭადრაკის ანბანს მეხუთე და—პატარა ნინოც (იგი არაა სურათზე).

ნიჭიერი გოგონების წინ დიდი საჭადრაკო სარბიელია!

ტექსტი ი. თოფურიასი.
ფოტო გ. გაიშვილისა.

აბაშის რაიონი.

# ღონისძიება დასახეს

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიონული კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტში გაიმართა რაიონის პარტიული აქტივის კრება.

მოხსენებით — „რაიონში ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ — გამოვიდა საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის მეორე მდივანი ი. ბალაშვილი.

მომხსენებელმა და მოკამათეებმა ილაპარაკეს ამ დარგში არსებულ ნაკლსა და წარმატებებზე, დასახეს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებები.

აქტივის კრებაზე გამოვიდა საქართველოს კპ წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი ა. გონაშვილი.

უ. წყარუაშვილი,
რაიონული გაზეთის „ახალი შირაქის“ თანამშრომელი.

## „ლელო“ წერილის კვალდაკვალ

### „მამა ღმერთის იმედით“

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 24 მარტის ნომერში დაბეჭდილ წერილში ლაპარაკი იყო „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს მოკრივეთა ბათუმში გამართული ჩემპიონატის ორგანიზაციაში დაშვებულ ხარვეზებზე.

როგორც „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ი. ბოჭორიძე გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები ძირითადად დადასტურდა. დასახულია ღონისძიებები, რათა მსგავსი რამ შემდგომში არ გამეორდეს.

# „ტყავის ბურთის“ პრიზზე

ფეხბურთის მოყვარულებს კარგად ახსოვთ ჩვენი გუნდების — თბილისის „ნაკადულისა“ და „ცისკრის“ დიდი წარმატება „ტყავის ბურთის“ პრიზის შარშანდელ საკავშირო შეჯიბრებაში. ჩვენმა ბავშვებმა მაშინ პირველი ადგილები დაიკავეს ორივე ასაკობრივ ჯგუფში და ოქროს მედლებიც დაიმსახურეს.

წლეულს ეს ტრადიციული, დიდი მასშტაბის შეჯიბრება კვლავ ჩატარდება. ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ ბავშვები, რომლებიც გაერთიანებული არიან ერთ სახლმმართველობაში, ეზოში, სოფელსა და დაბაში. ბავშვები დაყოფილი არიან ორ ასაკობრივ ჯგუფად: 1953-54 და 1955-56 წლებში დაბადებულნი. როგორც უწინ, „ტყავის ბურთის“ პრიზზე მონაწილეობის უფლება არა აქვთ სკოლების ნაკრებ გუნდებს და საბინაო-საექსპლოატაციო კონტორის გუნდს, თუ მასში გაერთიანებულია 2 ან მეტი სახლმმართველობა, აგრეთვე, სპეციალიზებულ საფეხბურთო სკოლებსა და სექციებში მომეცადინე ბავშვებს. ვერ ითამაშებენ აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლეებიც.

შეჯიბრება იწარმოებს ფეხბურთის წესების დაცვით, თამაშის ხანგრძლიობა უმცროსი ასაკის ბავშვთათვის უდრის 50 წუთს, ხოლო უფროსი ასაკისთვის — 60 წუთს ტაიმებს შუა 10-წუთიანი შესვენებით.

შეჯიბრების პირველ ეტაპზე გათამაშდება რესპუბლიკის რაიონების პირველობა, შემდეგ, მეორე ეტაპზე, რომელიც 15 ივნისიდან დაიწყება, ჩატარდება თბილისის, ქუთაისის, აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და ზონების პირველობანი.

ფინალში დაიშვებიან თბილისის, ქუთაისის, აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და ზონებში გამარჯვებული გუნდები. უმცროსი ასაკის ბავშვთა ფინალური მატჩები ჩატარდება ქუთაისში, ხოლო უფროსი ასაკისა — თბილისში, ივლისის მეორე ნახევარში.

რაიონებში გამარჯვებულ გუნდებს შორის ფინალური შეჯიბრების მონაწილეთა გამოსავლენად წესდება შემდეგი ზონები:

ახალციხის ზონა (მონაწილეობენ ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონები);

გურჯაანის ზონა (ახმეტის, გურჯაანის, ლაგოდეხის, სიღნაღის, თელავის, წითელწყაროსა და ყვარლის რაიონები);

რუსთავის ზონა (ქ. რუსთავი, წალკის, დმანისის, თეთრი წყაროს, გარდაბნის, მარნეულისა და ბოლნისის რაიონები);

ხაშურის ზონა (ქ. გორი, ბორჯომის, ქარელის, დუშეთის, კასპის, გორის, მცხეთისა და ხაშურის რაიონები);

წყალტუბოს ზონა (ამბროლაურის, ონის, ცაგერის, თერჯოლის, ტყიბულის, ორჯონიკიძის, საჩხერის, წულუკიძისა და წყალტუბოს რაიონები);

ლანჩხუთის ზონა (ქ. ფოთი, ზესტაფონის, სამტრედიის, ჩოხატაურის, მახარაძის, ლანჩხუთის, მაიაკოვსკისა და ვანის რაიონები);

ფოთის ზონა (ქ. ფოთი, ზუგდიდის, ხობის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს და წალენჯიხის რაიონები).

სხვა რაიონებში გამარჯვებულ გუნდებს უფლება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ მათთან ტერიტორიულად ახლომდებარე ზონაში.

ფინალურ ტურნირში გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდებიან გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციის მიერ დაწესებული ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მცირე მედლებით, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელებით და რესპუბლიკური სპორტკავშირის დიპლომებით, აგრეთვე, საქართველოს ტელევიზიის სპორტულ გადაცემათა რედაქციისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი პრიზებით.

ორივე ასაკობრივ კატეგორიაში I ადგილზე გასული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ „ტყავის ბურთის“ პრიზის საკავშირო ტურნირში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# FOTBAL • CALCIO • KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS • NOGOMET









სსრ კავშირ — უნგრეთის გუნდების მატჩში საერთო უპირატესობა მთელი თამაშის მანძილზე საბჭოთა ფეხბურთელების მხარეს იყო, მაგრამ უნგრელი თავდამსხმელები დიდი ოსტატები არიან და მათ მიერ მეტოქის კართან შექმნილი რამდენიმე მომენტი იმდენად სახიფათო გამოდგა, რომ გოლი თითქოს გარდუვალი ჩანდა. აი, აქ გამოვლინდა მეკარე პშენიჩნიკოვის მაღალი ოსტატობა. მან შესანიშნავად ჩაატარა მატჩი.

სურათზე: პშენიჩნიკოვი კუთხურზე იგერიებს უნგრელთა ცენტრფორვარდის ალბერტის მიერ შეხვედრის ბოლო წუთებზე ახლოდან დარტყმულ ბურთს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ეს იყო სსრ კავშირისა და უნგრეთის ეროვნული გუნდების დაუვიწყარი მატჩის ერთ-ერთი შესანიშნავი ფრაგმენტი, ორი უმაღლესი კლასის ფეხბურთელის წყვილი: ვარგა — ხურცილავა.

რას არ აკეთებდა მინდორზე ვარგა! უნგრეთის ნაკრების მოწინავე ფორვარდი ათასგვარ მანევრს ასრულებდა, მოძრაობდა ვრცელ ტერიტორიაზე, მთელ თავის შესაძლებლობას აქსოვდა თამაშში, ეძებდა თავისუფალ ადგილს, მაგრამ ყველგან აწყდებოდა თავისი დარაჯის — ხურცილავას წინააღმდეგობას. ჩვენმა მცველმა ბრწყინვალედ შეასრულა თავისი რთული ფუნქციები.

და კიდევ საინტერესო ამბავი: რედაქციამ მიიღო ასეთი დეპეშა ქალაქ ორშიდან: „მადლობა ხურცილავას ლამაზი ფეხბურთისთვის ლუჟნიკის სტადიონზე. მინსკის „დინამოს“ გულშემატკივარი რედკო“.

სურათზე: დუეტი ვარგა — ხურცილავა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

## „საბჭოთა გუნდის გადამწყვეტი კოზირი“

რომი, 13 მაისი. ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის დასკვნითი ტურნირის ორგანიზატორი ქვეყნის — იტალიის პრესა ვრცელ კომენტარს უკეთებს საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ნაკრები გუნდების შეხვედრის შედეგებს.

გაზეთ „კორიერე დელო სპორტის“ სპეციალური კორესპონდენტი ჯ. დე ჩეზარი მატჩს ესწრებოდა ლუჟნიკში და თამაშის დამთავრებისთანავე ესაუბრა იტალიის ნაკრების მწვრთნელს ფ. ვალკარეჯის, რომელიც აგრეთვე საგანგებოდ იყო გამგზავრებული მოსკოვს. ვალკარეჯიმ აღნიშნა „საბჭოთა ფეხბურთელების შესანიშნავი შემტევი ძალა“, „წარმოუდგენელი ათლეტური სიმძლავრე“, „მოულოდნელი დინამიზმი“. ამას გარდა, მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შესანიშნავად მოთამაშე ბიშოვეცმა.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ როგორი იქნება იტალიის გუნდის შემადგენლობა სსრ კავშირის ნაკრებთან ნეაპოლში 5 ივნისს, ვალკარეჯიმ უპასუხა: „რუსებს ჰყავთ მუდმივი „თავისუფალი“ მოთამაშე. ისინი, როგორც ჩვენ, პერსონალურ მეურვეობას მიმართავენ და უნგრელებთან შედარებით უფრო მეტს თამაშობენ მინდვრის სიღრმეში. ეს უნდა გავითვალისწინოთ. მაგრამ ჩვენ უფრო მტკიცე დაცვა გვყავს, ვიდრე უნგრელებს, ხოლო თავდასხმა — უფრო აგრესიული. საბჭოთა ფეხბურთელებთან მატჩში მთავარი იქნება არ დავთმოთ ინიციატივა ან, უკიდურეს შემთხვევაში, გავათანაბროთ იგი ბოლომდე ბრძოლის წყურვილით. ტექნიკის მხრივ ჩვენ მათ არ ჩამოვრჩებით. გარდა ამისა, ვიცით ყველაფერი: დღე, თვე, მინდორი და მეტოქის სახელი. სხვა არაფერი დაგვრჩენია გარდა იმისა, რომ შევუდგეთ მუშაობას და სპორტული ფორტუნის იმედიც ვიქონიოთ“.

ფ. ვალკარეჯი 12 მაისს გვიან ღამით დაბრუნდა რომში და კვლავ გამოჰყო ბიშოვეცი, როგორც „საბჭოთა გუნდის გადამწყვეტი კოზირი“. აი, მწვრთნელის სიტყვები: „ესაა გუნდის წამყვანი ელემენტი და ძალზე სახიფათო — შეტევის დასასრულს. ამას გარდა, საბჭოთა გუნდის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მარცხენა გარემარბი ევრიუჟიხინი“.

* * *

ბუდაპეშტი, 13 მაისი. როცა უნგრეთის ნაკრების ფეხბურთელები მოსკოვიდან ბუდაპეშტს ჩამოვიდნენ, ისინი, როგორც მტი-ს სააგენტო იტყობინება, ანგარიშით 0:3 წაგებული მატჩის ძლიერი შთაბეჭდილებით იყვნენ. უნგრელთა მთავარმა მწვრთნელმა კ. შოოშმა განაცხადა: „მოსკოვში ჩატარებული საპასუხო მატჩის შედეგმა ჩვენზე მოახდინა ცივი შხაპის ეფექტი“.

ცდილობენ რა მონახონ ამ მარცხის მიზეზები, აქ ყველას მიაჩნია, რომ მათგან მთავარია უნგრელთა კარში გატანილი პირველი 2 ბურთი, რომელთა თავიდან აცილება შეიძლებოდა. „მაგრამ უმართებულო იქნებოდა ამაში დაგვედანაშაულებინა მხოლოდ მეკარე ტამაში, — ხაზი გაუსვა შოოშმა, — ვინაიდან შოიმოშის, მესეისა და სიუჩის გარდა გუნდის სხვა დანარჩენი წევრებიც ასეთივე საყვედურს იმსახურებენ.

იაკუშინმა თავისი გუნდის შემადგენლობიდან გაიყვანა სტრელცოვი, მე კი გუნდში შევიყვანე ალბერტი. ვინ იფიქრებდა, რომ ეს ცვლილებანი გადამწყვეტ როლს ითამაშებდნენ? მე ვულოცავ იაკუშინს და საკუთარ თავს ვადანაშაულებ იმისთვის, რომ ასე ვენდე მოთამაშეს, რომელიც შარშან აღიარებულ იქნა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად და რომელმაც ნაცვლად იმისა, რომ თავისი გუნდი წინ წაეყვანა, უარი თქვა ყოველგვარ ბრძოლაზე...“

„ჩვენი მოთამაშეები ძალიან ნელა ირჯებოდნენ და მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, რომ ტექნიკა ეჩვენებინათ. სპეციალისტებმა მხედველობიდან გამოუშვეს მათი ფიზიკური მომზადება“, — განაგრძო ნაკრების ხელმძღვანელმა. შეეხო რა მომავლის გეგმებს, მან აღნიშნა, რომ გუნდს საკმაოდ ხანგრძლივი შესვენება ელის და მორიგ მატჩს მხოლოდ 8 სექტემბერს ჩაატარებს ავსტრიასთან. ეროვნული ჩემპიონატის შესვენებისას (ტურნირი ივლისის დასაწყისში განახლდება) კ. შოოში შეუდგება მოთამაშეთა მზადებას, რომელთა გამოყენება მას განზრახული აქვს ოლიმპიურ ნაკრებში.

(საკდესი).

## სსრ კავშირის პირველობა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 მაისისათვის

„ბ“ კლასი II ჯგუფი

III ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „თერგი“ (გროზნო) | 6 | 4 | 2 | 0 | 7—2 | 10 |
| „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) | 7 | 4 | 2 | 1 | 9—6 | 10 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 7 | 4 | 2 | 1 | 8—5 | 10 |
| „დინამო“ (მახაჩყალა) | 6 | 3 | 3 | 0 | 4—0 | 9 |
| „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 6 | 3 | 2 | 1 | 6—3 | 8 |
| „ვოლგარი“ (ასტრახანი) | 7 | 2 | 4 | 1 | 7—6 | 8 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 7 | 2 | 4 | 1 | 6—5 | 8 |
| „ზვეზდა“ (პერმი) | 7 | 3 | 2 | 2 | 5—4 | 8 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 7 | 3 | 1 | 3 | 10—5 | 7 |
| „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) | 7 | 2 | 3 | 2 | 7—8 | 7 |
| „ვოლგა“ (ულიანოვსკი) | 7 | 3 | 0 | 4 | 11—9 | 6 |
| „მეშახტე“ (ტყიბული) | 7 | 1 | 4 | 2 | 8—8 | 6 |
| „რუბინი“ (ყაზანი) | 6 | 1 | 4 | 1 | 2—2 | 6 |
| „ფოლადი“ (სუმგაითი) | 7 | 2 | 2 | 3 | 3—4 | 6 |
| „ტორპედო“ (ტაგანროგი) | 6 | 2 | 1 | 3 | 2—3 | 5 |
| „ვოლგა“ (გორკი) | 6 | 1 | 3 | 2 | 3—5 | 5 |
| „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა) | 6 | 1 | 2 | 3 | 6—7 | 4 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 7 | 0 | 4 | 3 | 1—6 | 4 |
| „სტროიტელი“ (უფა) | 7 | 0 | 4 | 3 | 5—11 | 4 |
| „ზენიტი“ (იჟევსკი) | 7 | 0 | 4 | 3 | 2—8 | 4 |
| „მეტალურგი“ (მაგნიტოგორსკი) | 7 | 1 | 2 | 4 | 6—14 | 4 |

## სამი შეხვედრა

„ბ“ კლასი

გაიმართა მორიგი შეხვედრები „ბ“ კლასის რსფსრ-ს ზონებში. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

### ლანჩხუთიდან...

„გურიის“ ფეხბურთელებს შინ ჰქონდათ შეხვედრა ფოთის „კოლხეთთან“. სტუმრების კარი პირველივე წუთებიდან განუწყვეტელი იერიშების ობიექტად იქცა და თუ ანგარიში კარგა ხანს არ ჩანდა, ამაში გარკვეული წვლილი მიუძღვით „კოლხეთის“ მეკარე ლარინს და მცველებს.

მაგრამ „გურიის“ ხშირმა იერიშებმა მაინც გამოიღო შედეგი და 69-ე წუთზე კომბინაცია ნარიაშვილი — მაგდია — სიხარულიძე გოლით დამთავრდა. გავიდა ცოტა ხანი და ფოთელებმა მეორედ მოუხდათ თამაშის დაწყება ცენტრიდან ჭავჭავაძის ზუსტი დარტყმის შემდეგ.

მატჩის დასასრულს „კოლხეთმა“ გამოასწორა თამაში, მაგრამ მიაღწია მხოლოდ იმას, რომ გაიტანა ერთი საპასუხო ბურთი. გაიმარჯვა „გურიამ“ — 2:1.

ი. ებრალიძე.

### ქობულეთიდან...

გათამაშების მორიგ მატჩში აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „შუქურა“ და ზუგდიდის „ენგური“. უკვე მე-8 წუთზე ქობულეთელთა თავდამსხმელმა გაგნიძემ კარგად გამოიყენა ჩხატარაშვილის გადაცემა და ბურთი მეტოქის კარში გაგზავნა — 1:0. ასეთი მარცხიანი დასაწყისის მიუხედავად ზუგდიდელებმა აქტიურად ითამაშეს და მე-40 წუთისთვის როგავამ შეძლო თანაბრობის აღდგენა — 1:1.

განსაკუთრებით დაიძაბა მდგომარეობა მეორე ტაიმში. ურუშაძეს, გაგნიძეს, შაფათავას — ქობულეთელთა მხრივ, აბრალავას და ხარაშენოვს — ზუგდიდელთა მხრივ შეეძლოთ ანგარიშის შეცვლა, მაგრამ მათი გადამწყვეტი დარტყმები უხეირო იყო. საბოლოოდ მეტოქეებმა თანაბრად გაიყვეს ქულები — 1:1.

ლ. ტრაპაიძე.

### სოხუმიდან...

სოხუმის დინამოელთა შეხვედრა მახარაძის „მერცხალთან“ დაიწყო მასპინძელთა ძლიერი იერიშებით. ჯერ გაბისკირიას, ხოლო შემდეგ ეზუხბაიას ჰქონდა ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობა, ხოლო 33-ე წუთზე მახარაძელთა მეკარე ჩემინავამ აშკარა გოლისგან იხსნა კარი.

„მერცხალი“ შედარებით ნაკლებად უტევდა, მაგრამ შესვენების შემდეგ, 73-ე წუთზე ერთ-ერთი ასეთი კონტრიერიში გოლით დაამთავრა ჩხარტიშვილმა — 1:0.

სოხუმელები მორიგ, რიგით მეექვსე წაგების საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ. ისინი ბევრს ცდილობდნენ, მაგრამ ვერ შეძლეს თუნდაც ერთი საპასუხო გოლის გატანა და კვლავ დამარცხებულებმა დატოვეს მინდორი. სტუმართაგან თავი გამოიჩინეს ჩემინავამ და ცენტრალურმა მცველმა თურმანიძემ.

შ. ჯალაღონია.

## ახალი ამბები

● დელი, 13 მაისი. ინდოეთი მეხიკოს ოლიმპიადაში საასპარეზოდ გაგზავნის 35 კაცს. ამ ქვეყნის წარმომადგენლები გამოვლენ პროგრამის 5 სახეობაში — ბალახის ჰოკეიში, ჭიდაობაში, ძალოსნობაში, ტყვიის სროლასა და მძლეოსნობაში.

● *ვარშავა, 13 მაისი. წარმატება მოიპოვეს პოლონელმა მძლეოსნებმა. დ. იავორსკამ შუბი ტყორცნა 52,94 მეტრზე, ხოლო ევროპის ჩემპიონმა ვ. მანიაკმა შჩეცინში 100 მეტრი 10,2 წამში გაირბინა.*

● ლევერკუზენი (გფრ), 13 მაისი. მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში მაღალი შედეგი აჩვენა ლიზელ ვესტერმანმა. მის მიერ ნატყორცნი ბადრო 61,03 მეტრზე დაეცა. ეს შედეგი მხოლოდ 23 სმ-ით უარესია მისსავე მსოფლიო რეკორდზე. ჰაიდე როზენდალმა ხუთჭიდში 4918 ქულა დააგროვა.

● ბერლინი, 13 მაისი. იუნიორთა ახალი ევროპული რეკორდი დაამყარა 19 წლის ჰ. ბრიზენიკმა: ჭაბუკმა გიგანტმა (მისი სიმაღლე 191 სანტიმეტრია, ხოლო წონა — 105 კგ) ბირთვი ჰკრა 17,61 მეტრზე. კონტინენტის რეკორდი 5 სმ-ით გაუმჯობესდა.

● პარიზი, 14 მაისი. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, ბელგიელმა მოტოკროსმენმა ჟ. რობერმა მოიხვეჭა საფრანგეთის დიდი პრიზი „250-ანების“ კლასში. ეს შეჯიბრება ამავე დროს მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხე ეტაპი იყო. II ადგილზეა ანდერსონი (შვეცია), ხოლო III — ჰებერსი (ბელგია). მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, მოსკოველმა ვ. არბეკოვმა ორი სერიის ჯამში VI ადგილი დაიკავა, ხოლო მსოფლიო ჩემპიონმა ჰალმანმა (შვეცია) მოტოციკლის გაფუჭების გამო შეჯიბრება ვერ დაამთავრა. 4 ეტაპის ჯამში ერთბაშად სამი მრბოლელი დაწინაურდა: ჰებერსს, რობერსა და ანდერსონს 18-18 ქულა აქვთ. არბეკოვი 7 ქულით V-VI ადგილებს იყოფს.

● *რომი, 14 მაისი. „500-ანების“ კლასში მსოფლიო ჩემპიონატის მეორე ეტაპი იტალიის ტრასაზე გაიმართა. წვიმიანი ამინდის გამო 27 მოტოკროსმენიდან შეჯიბრება მხოლოდ ხუთმა დაამთავრა. საუკეთესო იყო ბელგიელი რ. დე კოსტერი. II ადგილზეა ინგლისელი კლოუ, III — ჩეხოსლოვაკიელი დობრი. მსოფლიო ჩემპიონს ფრიდრიჰსს (გდრ) ამჯერად ბედმა უმუხთლა, მაგრამ 2 ეტაპის შემდეგ მან მაინც შეინარჩუნა ლიდერობა: ფრიდრიჰსსა და დე კოსტერს 8-8 ქულა აქვთ. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესომ — რიგელმა გ. დრაუგსმა მხოლოდ 1 ქულა მოაგროვა (პირველ ეტაპზე VI ადგილისთვის).*

# მეტოქეობაც ასეთი უნდა

**ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში 3 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ე. კაკაბაძე, ა. ჩაიკოვსკაია, კ. სკეგინა (მოსკოვის ოლქი) — 2,5-2,5 ქულა, ტ. ზატულოვსკაია (ბაქო), კ. ერეტოვა (ჩეხოსლოვაკია), ე. პოლიქრონიადე (რუმინეთი) და ნ. ხუბულური — 2-2.**

III ტური. კ. ვრეკენი (ჰოლანდია) — ხუბულური 0:1, ც. კობაიძე — პოლიქრონიადე 0:1, მ. სანაძე — ჩაიკოვსკაია 0:1, კაკაბაძე — ქ. რაძიკოვსკა (პოლონეთი) 0,5:0,5, ჟ. ვერეცი (უნგრეთი) — ც. კახაბრიშვილი 0:1, ზატულოვსკაია — სკეგინა 0,5:0,5, ერეტოვა — თ. ხუგაშვილი 0,5:0,5.

ჩვენმა ახალგაზრდა მოჭადრაკეებმა — საქართველოს ჩემპიონმა კახაბრიშვილმა, ხუბულურმა და ხუგაშვილმა გვასახელეს ევროპის ცნობილ ოსტატებთან შეხვედრებში.

კარო-კანის დაცვაში კახაბრიშვილმა ვერეცის ლაზიერი შეიტყუა და ეტლსა და კუში მოიგო იგი. მიტელშპილში ეხ უპირატესობა გამარჯვებისთვის საკმარისი იყო.

მწვავე ბრძოლაში, რომელიც ხუბულურმა ვრეკენს შესთავაზა, თბილისელი მოსწავლის ჩანაფიქრი უფრო რეალური აღმოჩნდა. ეტლში ლაზიერის წაგების შემდეგ ჰოლანდიელი დანებდა.

— თამარმა პირველად გამოიყენა ფრანგული დაცვა და არც თუ ცუდი შთაბეჭდილება დატოვა, — თქვა ხუგაშვილის მწვრთნელმა გ. მაჭავარიანმა. — იგი ჩასწვდა ამ დებიუტის არსს, რაც თამაშის დროს მკაფიოდ გამოჩნდა. ხუგაშვილმა ცენტრში დასაყრდენი უჯრები გაითავისუფლა, მაგრამ მხედრების ენდშპილში თავისი პოზიციის შესაძლებლობა სრულად ვერ გამოიყენა და ერეტოვამ თამაში გაათანაბრა.

ძნელი გამოცდა ელოდა კობაიძესაც. პოლიქრონიადე წარმატებას მწვავე ბრძოლაში ეძებდა. კობაიძე არ შეუშინდა ტაქტიკურ გართულებებს, მაგრამ დაძაბულ პოზიციაში მაინც თავი იჩინა რუმინელის გამოცდილებამ: ცაიტნოტში იგი თავს დაესხა კობაიძის მეფეს. თბილისელმა სტუდენტმა დაცვა ვერააწყო და ფიგურის წაგების შიშით ბრძოლა აღარ განაგრძო.

შეჯიბრების ყველაზე უმცროსი მონაწილე სანაძე ვერას გახდა ჩაიკოვსკაიასთან, თუმცა თეთრებით თამაშობდა. მან ვერ შეინარჩუნა ინიციატივა, ოსტატმა კი ორი პაიკი მოიგო, რის შემდეგ თამაში უაზრო იყო.

— რაძიკოვსკამ სიცილიური დაცვის დახურულ ვარიანტში ახალი სისტემა გამოიყენა. ეს სისტემა პოლონელ ოსტატებს დაუმუშავებიათ და მე უპირატესობა ვერ მოვიპოვე, — ასე აგვიხსნა კაკაბაძემ თავისი ყაიმი, რომელიც 23 სვლაში გაკეთდა.

ნონა გაფრინდაშვილს ზატულოვსკაია თანამედროვეობის ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკედ მიაჩნია. ბაქოელი ოსტატი არც მალავს, რომ ფინიშთან პირველი მისვლა, „რანგით“ მას „ევალება“ მაგრამ სხვებიც მიილტვიან პირველობისკენ. მათ რიცხვშია სკეგინაც. მან დიდი ბრძოლა გაუმართა მსოფლიო ჩემპიონობის მაძიებელს და პაიკიც მოუგო. ზატულოვსკაიამ თავს ეტლების ენდშპილში უშველა.

ამ დღეს მონაწილეებმა, მსაჯებმა და მაყურებლებმა დაბადების დღე მიულოცეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოჭადრაკეს ევლინ ნიუნჰერტს, რომლის შეხვედრა ნ. ალექსანდრიასთან არ შედგა ამ უკანასკნელის ავადმყოფობის გამო.

**თ. გიორგაძე.**

# ნაკრებში — ახალი სახელები

*იმ მაყურებლებს შორის რომლებიც თვალს ადევნებდნენ კალათბურთელ ქალთა ამას წინათ დამთავრებული საკავშირო ჩემპიონატის მატჩებს, ყველაზე დაინტერესებული ალბათ ლიდია ალექსეევა გახლდათ. ამ, არც თუ მაღალ, კოხტა გარეგნობის ქალს კარგად იცნობს კალათბურთის სამყარო: წარსულში ბრწყინვალე სპორტსმენი, ამჟამად ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონს, სსრ კავშირის ნაკრებს წვრთნის. წლეულს ივლისში ალექსეევას გუნდი იტალიას ესტუმრება ევროპის მორიგ ჩემპიონატში სათამაშოდ. სწორედ ამიტომ ადევნებდა იგი ასე გულმოდგინედ თვალყურს ჩემპიონატს, აფასებდა ნაკრების 40 კანდიდატის ღირსებებსა და ნაკლოვანებებს.*

*აას-ის კორესპონდენტმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. ერიომინამ მწვრთნელს სთხოვა გაეზიარებინა თავისი შთაბეჭდილებანი და წარმოედგინა ნაკრების მოთამაშენი*

— ვფიქრობ, ყველა რეკორდს გადავაჭარბე, როცა ნაკრების შემადგენლობაში ერთბაშად 10 ახალი მოთამაშე შევიყვანე, — ამბობს ალექსეევა. — ახალგაზრდებმა საკავშირო ჩემპიონატების მატჩებში იმდენად კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, რომ მე უფლება არ მქონდა დამეხურა მათ წინაშე ნაკრების კარი.

ტურნირის შეხვედრებმა ცხადყვეს, რომ საბჭოთა კალათბურთი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ორმაგად გაიზარდა. იგი გაიზარდა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: ჩემპიონატის 18 მონაწილის სიმაღლე 190 სანტიმეტრს აღემატებოდა, ხოლო ოცდაათოთხმეტისა — 180 სანტიმეტრს. გაიზარდა ჩემპიონის ტიტულისთვის მებრძოლი გუნდების ოსტატობაც. საუკეთესო შთაბეჭდილება, რა თქმა უნდა, დატოვა გამარჯვებულმა კოლექტივმა, რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის (ტტტ) გუნდმა. ამ პოპულარული კლუბის საიდუმლოება შემადგენლობის ზუსტ შერჩევაში მდგომარეობს. ტტტ ძლიერია ყველა ხაზში, პირველ ყოვლისა კი, თავისი თავდასხმით. სამი პირველხარისხოვანი ცენტრალური თავდამსხმელი — ს. კროდერე, ს. სმილძინია-ბუდოვსკა და უ. სემიონოვა განუკითხავად ბატონობენ ფარქვეშ. სმილძინია და სემიონოვა ნაკრებში არიან მოწვეული. სმილძინია ატესტაციას არ საჭიროებს, სემიონოვაზე კი გეტყვით, რომ იგი 16 წლისაა და ჩვენი ქვეყნის ყველაზე მაღალი კალათბურთელი ქალია — 207 სანტიმეტრია ტანად.

ჩემპიონატში დიდ წარმატებას მიაღწია მოსკოვის ოლქის „სპარტაკმა“, უფრო ზუსტად, მოსკოვის ტექნოლოგიური ინსტიტუტის გუნდმა. ეს კოლექტივი, რომელიც სწრაფ და ტექნიკურ კალათბურთს თამაშობს, სულ რამდენიმე წელია უმაღლესი ლიგის ტურნირში ჩაერთო და აი, ვერცხლის პრიზიორიც გახდა. გუნდის ლიდერი, 19 წლის ცენტრალური თავდამსხმელი ნ. ბილმაიერი (190 სმ) — ევროპის ორგზის ჩემპიონი იუნიორთა შორის, ეროვნული ნაკრების შემადგენლობაშია შეყვანილი.

მაგრამ ყველაზე მეტად სვერდლოვსკის „ურალმაში“ მომწონს. ეს გუნდი მთელი ჩემპიონატის მანძილზე ლამაზ, თანამედროვე კალათბურთს თამაშობდა. ყოველ შემთხვევაში, ჩემი სურვილია, რომ სსრ კავშირის ნაკრები სწორედ ასეთ სტილში თამაშობდეს. „ურალმაშის“ წევრთა შორის გამოირჩევიან გამოცდილი სპორტსმენები, ევროპის ექს-ჩემპიონი ლ. ედელევა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ნ. ფომინიხი (ამ უკანასკნელმა შეინარჩუნა ადგილი ნაკრებში). ოსტატობაში მათ ტოლს არ უდებენ 16 წლის მოსწავლე გოგონა ლ. კრესტიანინოვა და 22 წლის ლ. შვეცოვა. ორივე ნაკრებში პირველადაა შეყვანილი.

ლიტვის გუნდმა „კიბირკშტისმა“ (ქართულად „ნაპერწკალი“.—რედ.) ჩემპიონატის მატჩები თანაბრად და დამაჯერებლად ჩაატარა და ბევრი გამოცდილი მეტოქე დაამარცხა კიდეც. ვილნიუსელმა ქალიშვილებმა უმაღლეს ლიგაში დებიუტი IV ადგილით აღნიშნეს, ხოლო 22 წლის ზ. ბარეიკიტემ (190 სმ) და 20 წლის ლ. ვინჩაიტემ (185) ნაკრებშიც კი დაიმკვიდრეს ადგილები.

ევროპის ჩემპიონატის მატჩებისთვის მოემზადებიან „პატარა“ (რა თქმა უნდა, კალათბურთის თვალსაზრისით) კალათბურთელებიც. თავდაპირველად ახალბედებს დავასახელებ. ესენია: მოსკოველები ნ. ზახაროვა (165), ლ. გურევა (170), ლ. ბუბჩიკოვა (168) და ალმაათელი ვ. დმიტრიევა (163). ვეტერანთაგან ნაკრებში იხილავთ ტაშკენტელ რ. პროკოპენკოს (202), მოსკოველებს გ. ვორონინასა (190) და ლ. ბაზარევიჩს (172), აგრეთვე, როსტოველ თ. სლიდენკოს (170) და ნოვოსიბირსკელ ა. ანტიპინას (180). დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი მდიდარი არჩევანი მწვრთნელებს მოგვცემს ახალგაზრდობისა და გამოცდილების უკეთ შერწყმის შესაძლებლობას, რაც აგრერიგად საჭიროა ევროპულ კალათბურთში ლიდერობის შესანარჩუნებლად.

ქალთა თანამედროვე კალათბურთი მოთამაშეთა სიმაღლის ზრდის გზით მიდის. პირადად მე ეს ტენდენცია არ მომწონს, მაგრამ ასეთი რამ არსებობს და ჩვენ უფლება არა გვაქვს მას ჩამოვრჩეთ. ჩემი სურვილია, რომ სსრ კავშირის ნაკრები არც სიმაღლით ჩამოუვარდებოდეს ძირითად მეტოქეებს — ჩეხოსლოვაკიისა და ბულგარეთის კალათბურთელებს. ამავე დროს, ჩვენს ქალიშვილებს მოედანზე ყველაფერი უნდა შეეძლოთ, თანაც, დიდი სისწრაფით: სირბილიც, მაღლა ხტომაც, ნებისმიერი პოზიციიდან კალათში ზუსტად სროლაც. ასეთ მოთხოვნებს წავუყენებთ ევროპის ჩემპიონატის წინ ნაკრების ყველა წევრს, იმათაც კი, ვისი სიმაღლე 190 სანტიმეტრს აღემატება. იქნებ შემადგენლობის ოდნავ შეცვლა მოგვიხდეს, რადგან შესაძლოა ვინმე გამოგვრჩა კიდეც.

9 წელია, რაც საბჭოთა კალათბურთელებმა არ იციან, რა არის მარცხი ყველაზე დიდი მასშტაბის საერთაშორისო ტურნირებში. სულით და გულით გვსურს ამ პოზიციის შენარჩუნება. სწორედ ამიტომ, ევროპის ჩემპიონატისთვის სამზადისი იქნება უაღრესად სერიოზული და გულმოდგინე. ჩავატარებთ რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრას. კერძოდ, მაისის ბოლოს ჩვენი გუნდი რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გამართავს იტალიაში, შემდეგ ბულგარეთში გაემგზავრება და მონაწილეობას მიიღებს ორ საერთაშორისო ტურნირში, ჩაატარებს ერთობლივ წვრთნას ბულგარელებთან.

და ისევ იტალია — ევროპის ჩემპიონატი.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

# ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

### ინგლისი

გათამაშების ბოლო ტურში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ შინ წააგო „სანდერლენდთან“ (1:2) და ჩემპიონობას გამოეთხოვა. „მანჩესტერ-სიტიმ“ უაღრესად მძიმე ბრძოლაში დაამარცხა „ნიუკასლ იუნაიტედი“ (4:3) და ჩემპიონის წოდებასაც დაეუფლა. გუნდს წვრთნის ჯ. მერსერი. კარს იცავს დოუდი. დაცვაში თამაშობენ ბუკი, პარდო, ჰორნი, ჰისლოპი, კენედი. ნახევარდაცვაში გამოირჩევიან კონორი და კროსანი. გუნდის უძლიერესი რგოლია თავდასხმა (ლი, ოუკსი, იანგი, ბელი, სამერბი).

ინგლისის სპორტული პრესა შენიშნავს, რომ მ. ბასბის „მანჩესტერ იუნაიტედს“ ეროვნულ ჩემპიონატში წარუმატებლობის შემდეგ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მოპოვება თუ მოუტანს რეაბილიტაციას, მაგრამ საამისოდ მან მადრიდის „რეალს“ შინ უნდა მოუგოს ან ფრე გააკეთოს.

აი, დანარჩენი შედეგებიც: „არსენალი“ — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ 2:1, „ბერნლი“ — „ლიდს იუნაიტედი“ 3:0, „ლივერპული“ — „ნოტინგემ ფორესტი“ 6:1, „შეფილდ იუნაიტედი“ — „ჩელსი“ 1:2, „საუთჰემპტონი“ — „კოვენტრი-სიტი“ 0:0, „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ — „ევერტონი“ 1:1, „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“ — „ტოტენჰემ ჰოტსპური“ 2:1.

ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერია ესტლი („ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“) — 31 გოლი.

### ჩეხოსლოვაკია

ჩემპიონატის ლიდერმა — ტრნავის „სპარტაკმა“ XXI ტურში მოუგო ბრატისლავის „ინტერს“ — 4:0. ქვეყნის ჩემპიონი — პრაღის „სპარტა“ ჯერჯერობით მხოლოდ VII ადგილზეა.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (ტრნავა) | 21 | 39:18 | 28 |
| „სპარტაკი“ (ტრენჩინი) | 21 | 34:26 | 25 |
| „სლოვანი“ (ბრატისლავა) | 21 | 31:19 | 24 |

### ჰოლანდია

პირველობის დამთავრებას მხოლოდ 4 ტური აკლია და კვლავ გრძელდება დუელი ამსტერდამის „აიაქსსა“ და როტერდამის „ფეიენოორდს“ შორის. მორიგ ტურში „აიაქსმა“ შინ მოუგო „ვაგ რონინგენს“ — 3:1, ხოლო „ფეიენოორდმა“ დაამარცხა „სიტარდია“ — 5:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „აიაქსი“ | 30 | 84:17 | 50 |
| „ფეიენოორდი“ | 30 | 71:19 | 49 |
| „სპარტა“ (როტერდამი) | 30 | 51:25 | 38 |

### ბელგია

ბრიუსელის „ანდერლეხტმა“ მორიგ ტურში წააგო „ბერინგენთან“ (0:2), ხოლო მისმა ყველაზე სახიფათო მეტოქემ — „ფკ ბრიუგემ“ დაამარცხა „ბევერენი“. ფინიშამდე მხოლოდ 2 ტური დარჩა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ანდერლეხტი“ (ბრიუსელი) | 28 | 65:24 | 43 |
| „ფკ ბრიუგე“ | 28 | 49:20 | 41 |
| „სტანდარდი“ (ლიეჟი) | 28 | 51:29 | 38 |

### ბულგარეთი

პლოვდივში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „თრაკია“ და სოფიის „ლევსკი“. გაიმარჯვა „თრაკიამ“ — 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჩერვენო ზნამე“ (სოფია) | 21 | 45:17 | 32 |
| „ლოკომოტივი“ (სოფია) | 21 | 49:24 | 32 |
| „ლევსკი“ (სოფია) | 21 | 42:22 | 31 |

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**

**ხვალ**

შრომის სასახლის სხდომათა დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 19) გაიმართება „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს III პლენუმი.

დასაწყისი 11 საათზე.

# „გურნიკის“ ახალი მწვრთნელი

პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციამ ნება დართო ზაბჟეს „გურნიკის“ ერთ-ერთ მწვრთნელს ე. პოლს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავროს, სადაც იგი იქ არსებულ პოლონურ გუნდებში ითამაშებს. შარშან ამ გამოჩენილმა ფეხბურთელმა თამაშს თავი დაანება და თავისივე გუნდის — „გურნიკის“ მთავარი მწვრთნელის დოქტორ გ. კალოჩაის თანაშემწე გახდა. ახლა პოლს მიაჩნია, რომ მისი გადაწყვეტილება ნაადრევი იყო და ისევ თამაში სურს.

პოლის ნაცვლად „გურნიკის“ მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ დანიშნულია ამავე გუნდის ყოფილი მოთამაშე კლენჩარი.




ჩეხოსლოვაკიაში გამოვიდა საფოსტო ნიშნების ახალი სერია, რომელშიც მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი 6 მარკა შედის.

ფოტო ჩდს-საკდეხისა.

24, 25 და 26 მაისს გაიმართება თბილისის ტურისტთა საგაზაფხულო შეკრება-შეჯიბრებები დიდი და მრავალფეროვანი პროგრამით.

აქ სასპარეზოდ ტურისტული გუნდების (საწარმო-დაწესებულებათა და სასწავლო უწყებათა) გაგზავნა უნდა მოხდეს ორგანიზებულად, დებულებისა და განაცხადის თანახმად.

თბილისის ტურისტულ კლუბში (პლეხანოვის პრ. № 5) დღეს 18 საათზე შედგება წარმომადგენელთა თათბირი ზემოაღნიშნულ შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტისა და მსაჯთა კოლეგიასთან ერთად.

თბილისის ტურისტული კლუბი.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი.** „დინამოს“ სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასის I ჯგუფი. „დინამო“ (თბილისი) — „ზარია“ (ლუგანსკი). დღეს — დუბლშემადგენლობანი, ხვალ — ძირითადი შემადგენლობანი. მატჩების დასაწყისი 18 ს. 15 წ.

**ჭადრაკი.** რუსთაველის სახ. თეატრის მცირე დარბაზი (რუსთაველის პრ. № 17). ქალთა საერთაშორისო ტურნირი. 16 მაისი — V ტური, 17-ში — VI ტური. დასაწყისი 17 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 07571